პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (9630) | შაბათი, 11 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობა — „პრავდის“ 10 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში: **საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა იაპონელ საზოგადო მოღვაწეს იკუო ოიამას** (1-ლი და მე-2 გვერდი).

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ აქტივთან ერთად (მე-2 გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის [illegible] პრემიისა (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: [illegible] (მე-3 გვერდი). გოეთეს ლექსები ქართულად (მე-3 გვერდი).

რჩევა-დარიგება კომბაინერებს. — **გ. ჩაჩანიძე.** — როგორ მოვაწყოთ მუშაობა საათობრივი გრაფიკით (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობა

„პრავდის“ 10 ივლისის მოწინავე

ურყევი ძლიერებითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით. ახორციელებს რა XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო მძლავრი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიისა და მთავრობის გარშემო. განუხრელად მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

ჩვენ გვაქვს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, ყოველმხრივ განვითარებული მძიმე მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი. განუხრელად ვითარდება ჩვენი მანქანათმშენებლობა, უზრუნველყოფს რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს თანამედროვე ტექნიკით. დიდი წარმატებებია მიღწეული მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. მალალ დონეს მიაღწია ჩვენმა მსუბუქმა და კვების მრეწველობამ. ახლა მას შესაძლებლობა აქვს დააკმაყოფილოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი ფასების შემცირების პოლიტიკის საფუძველზე, რომელსაც პარტია ახორციელებს. ომისშემდგომ წლებში აღდგენილი სოფლის მეურნეობა უფრო მეტად, ვიდრე ომამდე, უზრუნველყოფილია უახლესი ტექნიკით.

ყველა ეს წარმატება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შედეგია, სსრ კავშირის ხალხთა მზარდი მეგობრობისა და საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განუხრელი განმტკიცების შედეგია, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგია.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, არაერთხელ განუცხადებია, რომ საერთაშორისო ცხოვრების ყველა გადაუჭრელი, სადავო საკითხი შეიძლება გადაიჭრას დაინტერესებულ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების გზით. ამ განცხადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და მოიწონა ყველა ხალხმა. ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა, მოჰყვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ზრდა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მსოფლიო მოძრაობის სერიოზული აღმავლობა.

სულ სხვა სურათია იმპერიალისტურ ბანაკში. იქ არის კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავება, აღვირახსნილი ექსპანსია და თავხედური დიქტატის პოლიტიკა ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ, წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ფართო მშრომელი მასების სულ უფრო მზარდი გაღატაკება.

ამრიგად, მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა მოწმობს ერთი მხრივ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განუხრელ ზრდას, მეორე მხრივ იმპერიალისტური ბანაკის ძალების საერთო შესუსტებას. ყოველივე ეს დიდ შეშფოთებას იწვევს იმპერიალისტებში და განაპირობებს რეაქციული იმპერიალისტური ძალების მკვეთრ აქტივიზაციას, მათს გაფაციცებულ მისწრაფებას — ძირი გამოუთხარონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის და, უწინარეს ყოვლისა, მისი წამყვანი ძალის — საბჭოთა კავშირის მზარდ ძლიერებას. იმპერიალისტები დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნებში ეძებენ დასაყრდენს სხვადასხვა გარეწართა და გახრწნილ ელემენტთა სახით, ააქტიურებენ თავიანთი აგენტურის ძირგამომთხრელ საქმიანობას.

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის — ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც გამოიხატა ვერაგული ცდებით დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის თავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მაღლა, მიიღო გადაწყვეტილება — გამოყვანილ იქნას ლ. პ. ბერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გაირიცხოს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა ამ საკითხზე, დაადგინა:

1) მოიხსნას ლ. პ. ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტიდან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან.

2) საქმე ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

ამჟამად მხილებულმა ხალხის მტერმა ბერიამ სხვადასხვა კორიერისტული მაქინაციებით მოიპოვა ნდობა, გაძვრა ხელმძღვანელობაში. თუ წინათ მისი დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა უაღრესად ფარული და შენიღბული იყო, ამ ბოლო დროს, გათავხედდა და აიშვა რა თავი, ბერია თანდათან აჩენდა თავის ნამდვილ სახეს — პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბოროტი მტრის სახეს. ბერიას დანაშაულებრივი საქმიანობის ასეთი აქტივიზაცია აიხსნება ჩვენი სახელმწიფოსადმი მტრული საერთაშორისო რეაქციული ძალების ძირგამომთხრელი ანტისაბჭოთა საქმიანობის საერთო გაძლიერებით. აქტიურდება საერთაშორისო იმპერიალიზმი — აქტიურდება მისი აგენტურაც.

თავისი საზიზღარი მაქინაციები ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ბერიამ იმით დაიწყო, რომ ცდილობდა დაეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტრო პარტიასა და მთავრობაზე მაღლა, გამოეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ცენტრში და ადგილებზე პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, სსრ კავშირის მთავრობის წინააღმდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაკებს აწინაურებდა მისდამი პირადი ერთგულების ნიშნით.

როგორც ახლა გამორკვეულია, ბერია სხვადასხვა მოგონილი საბაბით ყოველნაირად აფერხებდა უმნიშვნელოვანესი გადაუდებელი საკითხების გადაჭრას სოფლის მეურნეობის დარგში. ამას იმისათვის სჩადიოდა, რომ ძირი გამოეთხარა კოლმეურნეობებისათვის და შეექმნა სიძნელეები ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგებაში.

ბერია ცდილობდა სხვადასხვა ვერაგული ხერხით ძირი გამოეთხარა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის, რომელიც მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი და მომძე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა, შეღლი დაეთესა სსრ კავშირის ხალხებს შორის, გააქტიურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში.

იძულებული იყო რა შეესრულებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პირდაპირი მითითებანი საბჭოთა კანონიერების განმტკიცების შესახებ, უკანონობისა და თვითნებობის ზოგიერთი ფაქტის ლიკვიდაციის შესახებ, ბერია განზრახ აფერხებდა ასეთ მითითებათა განხორციელებას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ცდილობდა დაემახინჯებინა ისინი.

უდავო ფაქტები ცხადყოფენ, რომ ბერიამ დაკარგა კომუნისტის სახე, გადაიქცა ბურჟუაზიულ გადაგვარებულად, ნამდვილად საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი გახდა. ეს ავანტიურისტი და უცხოეთის იმპერიალისტური ძალების დაქირავებული აგენტი აწყობდა გეგმებს, რომ ხელში ჩაეგდო ხელმძღვანელობა პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი, რათა ფაქტიურად დაენგრია ჩვენი კომუნისტური პარტია და პარტიის მიერ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებული პოლიტიკა შეეცვალა კაპიტულანტური პოლიტიკით, რომელსაც საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმის რესტავრაცია მოჰყვებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროზე მიღებულ გადამწყვეტ ღონისძიებათა მეოხებით, რომელნიც ერთსულოვნად და სასვენებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი ზრახვები მხილებულ იქნა. ბერიას დანაშაულებრივი ავანტიურის ლიკვიდაცია კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რომ უცხოეთის იმპერიალისტური ძალების ყოველგვარ ანტისაბჭოთა გეგმებს ამსხვრევდა და ამსხვრევს პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის ურყევი ძლიერება და დიადი ერთიანობა.

ამასთანავე ბერიას საქმიდან უნდა გამოვიტანოთ პოლიტიკური გაკვეთილები და გავაკეთოთ საჭირო დასკვნები.

ჩვენი ხელმძღვანელობის ძალა მისი კოლექტიურობა, დარაზმულობა და მონოლითურობაა. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია ჩვენს პარტიაში. ეს პრინციპი სავსებით შეესაბამება მარქსის ცნობილ დებულებებს იმის შესახებ, რომ პიროვნების კულტი მავნე და შეუწყნარებელია. „პიროვნების ყოველგვარი კულტისადმი სიძულვილის გამო, — წერდა მარქსი, — მე ინტერნაციონალის არსებობის დროს არასოდეს არ ვანებებდი გამოექვეყნებინათ მრავალი მომართვა, რომლებშიც აღიარებული იყო ჩემი დამსახურება და რომლებითაც თავს მაბეზრებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, — მე არც კი ვუპასუხებდი როდისმე მათზე, ზოგჯერ თუ დავტუქსავდი ხოლმე მათ გამო. კომუნისტების ფარულ საზოგადოებაში ენგელსისა და ჩემი პირველი შესვლა იმ პირობით მოხდა, რომ წესდებიდან ამოელოთ ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ცრუმორწმუნეობითს ქედმოხრას ავტორიტეტების წინაშე“. მხოლოდ კოლექტიური პოლიტიკური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველს, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობასა და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებითს მშენებლობას.

ყოველ მუშაკს, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, შეუნელებელ კონტროლს უნდა უწევდეს პარტია. პარტიული ორგანიზაციები რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ ყველა ორგანიზაციისა და უწყების მუშაობას, ყველა ხელმძღვანელი მუშაკის საქმიანობას. საჭიროა აგრეთვე სისტემატური და შეუნელებელი კონტროლი ეწეოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობას. ეს პარტიული ორგანიზაციების არა მარტო უფლება, არამედ პირდაპირი მოვალეობაა.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელ მუშაობაში ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა რევოლუციური სიფხიზლე. სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, იგი გზავნის ჩვენში და კვლავაც შემოგზავნის თავის აგენტებს ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ეს უნდა გვახსოვდეს, არასოდეს არ უნდა გავიწყდებოდეს და მუდამ გალესილი გვქონდეს იარაღი იმპერიალისტური დაზვერვებისა და მათი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ.

მთელი სიმტკიცით უნდა დავიცვათ პარტიული პრინციპები მუშაკთა შერჩევისა მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით.

ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი მჭიდრო და ურღვევი კავშირი მასებთან, ხალხთან. ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ეს კავშირი, გულისხმიერად ვეკიდებოდეთ მშრომელთა საჭიროებებს, ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

პარტიის წმიდა მოვალეობაა შემდგომ განამტკიცოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, გააძლიეროს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, აღზარდოს საბჭოთა ადამიანები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მტკიცედ და შეურიგებლად იბრძოლოს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

რაზმავენ რა ჩვენი ხალხის შემოქმედებითს ძალებს, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა წარმართონ ეს ძალები, რომ ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი მთლიანად გამოვიყენოთ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საჭიროა მტკიცედ გავაუმჯობესოთ მასებში პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საქმე. შევისწავლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია არა როგორც მედგითნეებმა, არა დოგმატურად, მიეაღწიოთ იმას, რომ შევითვისოთ არა ცალკეული ფორმულირებანი და ციტატები, არამედ არსი მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრებისა — ასეთია ჩვენი პროპაგანდის ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებს მთელი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის სოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ აქტივთან ერთად, თავისი დიდი და მრისხანე აღშფოთება გამოთქვა ბერიას გამცემლური საქმიანობის გამო და სრული ერთსულოვნებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. ასეთივე გადაწყვეტილებანი მიიღო პარტიის კიევის სოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა აქტივთან ერთად, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 50 წლის წინათ შექმნა გენიალურმა ლენინმა, გახდა გიგანტური ძალა, გამოიწვრთო ბრძოლებში ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი საბრძოლო დროშის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ახორციელებს თავის დიად ისტორიულ საქმეს. პარტიის, მთავრობისა და ხალხის მჭიდრო ერთიანობით ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით განაგრძობს წინსვლას ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის სახელოვანი გზით.

ახალი მოწყობილობა თამბაქოს საწარმოებში

ლენინგრადი, 8 ივლისი. (საკდესი). ლენინგრადის თამბაქოს ფაბრიკებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის საამქროებში დადგმულია მანქანა, რომელიც ცალკეულ ნამზადთაგან აკეთებს პაპიროსის კოლოფებს. იგი ცვლაში უშვებს 25.000-მდე ცალ კოლოფს და ცვლის ათ მუშას. მეორე ძვირფას ახალ მანქანას წარმოადგენს ფურცლოვანი თამბაქოს დასატენიანებელი მანქანა. ეს მანქანა უშვებს მუდამ მტკიცედ განსაზღვრული პროცენტით დატენიანებულ თამბაქოს.

ურიცკის სახელობის თამბაქოს 1-ლი ფაბრიკის საამქროებს შეემატა თამბაქოს საჭრელი ჩარხები, დადგმულია ოთხი ავტომატი, რომლებიც ამზადებენ პაპიროსის ეტიკეტებს. მწყობრში ჩადგნენ პირველი სპეციალურ-ჩამწყობი ავტომატები, რამაც ერთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ახლა აქ დამთავრებულია კიდევ ორი ავტომატის მონტაჟი. თვითეული მათგანის წარმადობა ცვლაში უდრის 100 ათას პაპიროსს.

წელს ლენინგრადის თამბაქოს საწარმოები ჩვენს ქვეყანას მისცემენ თითქმის სამნახევარი მილიარდით მეტ პაპიროსსა და სიგარეტს, ვიდრე შარშან.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

წყალტუბოს რაიონმა 100 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

* * *

ვანის რაიაბრეშუმმა გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 1.072 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

დამზადება გრძელდება.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა იაპონელ საზოგადო მოღვაწეს იკუო ოიამას

ხუთშაბათს, 9 ივლისს, კრემლის სვეტლოვის დარბაზში საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა მშვიდობისათვის ცნობილ მებრძოლს, იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს პროფესორ **იკუო ოიამას.**

ლაურეატის მისასალმებლად მოვიდნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, საბჭოთა მწერლების კავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები. დამსწრეთა შორის არიან მეცნიერები, მწერლები, საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოსკოვის საწარმოთა ნოვატორები და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები. დარბაზში არიან სსრ კავშირში სტუმრად მყოფი იაპონიის დელეგაცია, რომელსაც ქ-ნი იტოე ხამადა მეთაურობს და რომელიც იყო ქალთა მსოფლიო კონგრესზე კოპენჰაგენში, აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის მონაწილენი — იაპონიის პროფკავშირული მოღვაწე ტოგო კამედა და პროფესორი მასაო ონნეკავა.

დღის 2 საათია... დარბაზში შემოდიან საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი იკუო ოიამა და მისი მეუღლე ქ-ნი ოიამა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი. კომიტეტის წევრი ი. გ. ერენბურგი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი და სხვები. შეკრებილნი მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ოიამას — მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ და იაპონიისათვის უზუცეს და მამაც მებრძოლს.

რუსულ და იაპონურ ენებზე ცხადდება კომიტეტის 1951 წლის 20 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც პროფესორ იკუო ოიამას მიენიჭა საერთაშორისო სტალინური პრემია. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი მოკლე სიტყვაში ამბობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭებას იაპონიის წარმომადგენლისათვის, ახასიათებს ლაურეატის ცხოვრების გზას და აღნიშნავს მის თვალსაჩინო დამსახურებას მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. დარბაზში კვლავ გაისმის მჭუხარე ტაში, როცა აკადემიკოსი სკობელცინი გადასცემს იკუო ოიამას ლაურეატის დიპლომსა და ოქროს მედალს.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა **ნ. ს. ტიხონოვმა,** აკადემიკოსმა **გ. თ. ალექსანდროვმა,** საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა **ე. ა. ვასიუკოვამ,** მწერალმა **ბორის აგაპოვმა** და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა **ა. ი ეფიმოვმა.**

შემდეგ გამოვიდა იაპონელ ქალთა დელეგაციის წევრი, ლაურეატი მშვიდობის საერთაშორისო პრემიისა, რომელიც მიაკუთვნა მას მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, ქ-ნი ტოსიკო აკამატსუ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. აკამატსუ მხურვალედ ულოცავს თავის მასწავლებელს პროფესორ იკუო ოიამას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა იკუო ოიამამ. მისი სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

იკუო ოიამას სიტყვა

თავის სიტყვაში იკუო ოიამამ თქვა:

დღევანდელი დღე ყველაზე დიდი დღეა ჩემს ცხოვრებაში. როცა 1951 წლის დეკემბრის დამლევს მივიღე ცნობა, რომ არჩეული ვარ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების ერთ-ერთ კანდიდატად, მე მივხვდი და საჯაროდ განვაცხადე, რომ ეს მაღალი ჯილდო მეძლევა არა იმდენად პირადად მე, რამდენადაც ეძლევა მთელ იაპონელი ხალხის მასებს.

ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, თქვა შემდეგ იკუო ოიამამ, ამჟამად დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ისეთი საერთაშორისო სადავო საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მოლაპარაკების გზით. სწორედ ამ სულისკვეთებით გამსჭვალულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამას წინათ ბუდაპეშტში გამართული სესიის ყველა გადაწყვეტილება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენი სამშობლოს — იაპონიის ბედი იმ ადამიანთა ხელშია, რომელთაც არა სურთ შეიგნონ ეს. კვლავ ცდილობენ გადააქციონ იაპონია აზიის ხალხთა წინააღმდეგ ომის პლაცდარმად. იაპონიაში კვლავ აღორძინებენ მილიტარიზმის ძალებს. იაპონიის მრეწველობას ომის არსენალად აქცევენ. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა იაპონიასა და მთელ მსოფლიოში, არის მხოლოდ ერთი გზა. იაპონელმა ხალხმა გარკვევით და მტკიცედ უნდა უთხრას „არა“ ამ დანაშაულებრივ გეგმებს და მთელი ძალღონით იბრძოლოს მათი განხორციელების წინააღმდეგ.

მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ დავუმტკიცოთ შესაძლებლობა მოლაპარაკების გზით მშვიდობის შენარჩუნებისა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ შესაძლებლობას არ ცნობენ. მხოლოდ იაპონელი ხალხის გაბედული ბრძოლა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად აიძულებს იმათ, ვისაც არა სურს მშვიდობიანი მოლაპარაკება, ხელი აიღონ თავიანთ საომარ გეგმებზე. ამას ცხადად მოწმობს გმირული ბრძოლა კორეის, ვიეტნამისა და მალაიის ხალხებისა, რომლებიც თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მე სიხარულით შეშიძლია განვაცხადო აქ, რომ იაპონელი ხალხი არ ჩამორჩება აზიის სხვა მოძმე ხალხებს და არ დაზოგავს თავის ძალღონეს იმისათვის, რომ თავს მოახვიოს მშვიდობა ადამიანებს, რომლებიც უკვე თავითფეხამდე შეიარაღდნენ. **(მჭუხარე ტაში).**

ამჟამად მთელ იაპონიაში ჩაღდება ფართო მასობრივი მოძრაობა საბჭოდრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ მუშები, გლეხები და მეთევზეები. იაპონიის სამ მილიონზე მეტმა ორგანიზებულმა მუშამ განაცხადა, რომ დაიწყებს საყოველთაო გაფიცვას, რათა არ დაუშვას პარლამენტის მიერ შრომის რეაქციული კანონის მიღება, რომელიც მუშებს ართმევს გაფიცვის უფლებას და სამხედრო პოლიტიკის უუფლებო იარაღად აქცევს მათ. ამით იაპონელ ხალხს თავისი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

წარსულში იაპონელ ხალხს არაერთხელ გაუჩაღებია გაბედული ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მაგრამ იმ დროს ეს ბრძოლა თვით იაპონიის ფარგლებს არ სცილდებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უფრო სწორად, 1949 წლიდან იაპონიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მთავარი მიმდინარეობა გახდა შემადგენელი ნაწილი მშვიდობის ერთიანი მსოფლიო ფრონტისა, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო მეთაურობს. მას შემდეგ იაპონიის საკითხის დიდი მნიშვნელობა არაერთხელ აღინიშნა ხაზგასმით მშვიდობის მსოფლიო კონგრესების გადაწყვეტილებებში, რომლებმაც გვიჩვენეს სწორი გზა ამ საკითხის გადასაწყვეტად. ამის შედეგად იაპონელმა ხალხმა შეიგნო, რომ იგი მარტო არ არის თავის ბრძოლაში მშვიდობისათვის, რომ იგი მშვიდობის საერთაშორისო ბანაკის მძლავრი ძალების ნაწილია. მაშასადამე, იაპონელი ხალხის ბრძოლის მიზანია არა მარტო თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისი სიცოცხლის დაცვა, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ იაპონელი ხალხი დაკისრებული მისიისათვის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით,

(დასასრული მეორე გვერდზე).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

იკუო ოიამას სიტყვის დასასრული

მთელი ძალღონით იბრძოლებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მას მხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ყოველივე ეს ჩვენ ძირითადად შევიგნეთ ჯერ კიდევ მოსკოვში ჩამოსვლამდე. მაგრამ მოსკოვში ჩვენ დავინახეთ ახალი, ჭეშმარიტად დიადი საქმენი. ჩვენ აქ დავინახეთ არა მარტო უდიდესი მშენებლობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის, არამედ ისიც, რომ ეს მშენებლობა წარმოებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობის მტკიცე რწმენის საფუძველზე. იაპონიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების დროიდან ჩვენ ბევრს ვოცნებობდით იმაზე, თუ როგორი უნდა გახდეს ახალი რუსეთის ხალხთა ცხოვრება რევოლუციის შემდეგ. ახლა ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ოცნება უკვე ყოველდღიურ სინამდვილედ იქცა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრება მაღალი ნიმუშია მთელი კაცობრიობისათვის. აქ ჩვენ ცხადად დავინახეთ არა მარტო კაცობრიობის მიერ დღემდე განვლილი მთელი გზის კვალი, არამედ აგრეთვე მისი ნათელი მომავალი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ხალხს, რომელიც უკვე სავსებით განთავისუფლდა კაპიტალიზმის უღლისაგან, და ხალხს, რომელიც მხოლოდ ახლა იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის, ამჟამად საერთო ამოცანა აქვთ — ასეთი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა.

აქ, საბჭოთა კავშირში, ჩვენ ვამთავრებთ ჩვენს სულიერ მომზადებას იმისათვის, რომ, დაბრუნდებით რა სამშობლოში, კიდევ უფრო გაბედულად, მთელ ხალხთან ერთად, განვაგრძოთ ჩვენი ბრძოლა მშვიდობის დასაცავად. იმედი გვაქვს, რომ მოსკოვში ჩვენი ყოფნის შედეგები დაგვეხმარება ახალ წარმატებებს მივაღწიოთ ამ ბრძოლაში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიამ თავის მიმართვაში მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი გაანაცხადა: „მშვიდობის გამარჯვება ახლოა. მისი მოპოვება ჩვენზეა დამოკიდებული“. იაპონელი ხალხი გაჰყვება ამ მოწოდებას. იაპონელი ხალხის სახელით ფიცსა ვდებთ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად შევასრულებთ განსვენებული პრემიერის სტალინის დიად ანდერძს, რომელიც მშვიდობის დაცვისაკენ მოგვიწოდებდა.

გაუმარჯოს მსოფლიოს ყველა ხალხის მშვიდობიან თანაარსებობას!“ **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

(საკდესი).

დარგაზოგა მშვიდოგის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ იკუო ოიამას პატივსაცემად

9 ივლისს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა დარბაზობა გამართა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის, გამოჩენილი იაპონელი საზოგადო მოღვაწის პროფესორ იკუო ოიამას პატივსაცემად, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება.

დარბაზობას დაესწრნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის წარმომადგენლები, კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი, მეცნიერნი და წარმოების მოწინავენი.

შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ პროფესორ იკუო ოიამას, აგრეთვე მოსკოვში სტუმრად მყოფ იაპონიის ქალთა დელეგაციის წევრებს ქ-ნ იტოე ხამადას მეთაურობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალთა კოპენჰაგენის მსოფლიო კონგრესში, და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის მონაწილეებს—იაპონელ პროფკავშირულ მოღვაწეს ტოგო კამედას და პროფესორ მასაო იონეკავას.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. საბუქსირო კატერს ტივი გაჰყავს 1-ლი რაბიდან.

ფოტო ა. მაკლეცოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

1952 წლის 10 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1952 წლის 27 ივლისს ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არხს მიეკუთვნა ვ. ი. ლენინის სახელი.

ვოლგა-დონის სანაოსნოს ნავსადგურებსა და გემბანადგომებში ამჟამად დადიან გემები ვოლგიდან, კასპიდან, მდინარე მოსკოვიდან, ოკიდან.

როგორც სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, ამჟამად არხით გადაქვთ სამჯერ უფრო მეტი ტვირთი, ვიდრე წარსული ნავიგაციის პირველ თვეებში.

გემების „ულიანა გრომოვას“, „აბხაზეცის“ ეკიპაჟებმა, რომლებსაც გადაქვთ დონეცის ქვანახშირი, აითვისეს გემების ბიძგით წაყვანის ხერხი. ისინი ზოგავენ სათბობს და სწრაფად გადაქვთ ტვირთი დანიშნულებისამებრ.

მემდინარეთა წარმატებას ხელს უწყობს არხის ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კარგი მუშაობა. კოლექტივები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ნაგებობებს, აუმჯობესებენ ტექნიკას. დიდტვირთიანი გემების რაბვისას ბევრ უბანზე კამერებს სამჯერ-ოთხჯერ უფრო სწრაფად ავსებენ წყლით, ვიდრე წარსულ ნავიგაციაში.

მდიდარი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი ახალი სანაოსნო მაგისტრალის ნავსადგურები აძლიერებენ გემებისა და კარჭაპების დატვირთვა-გადმოტვირთვის ტემპს. აქ ფართოდ იყენებენ საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ჩქაროსან მექანიზატორთა მუშაობის მეთოდებს.

ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის პირველი წლისთავისათვის, მემდინარეები ეწერგიულად იბრძვიან, რათა ვოლგა-დონის სანაოსნო გზა საბჭოთა სახელმწიფოს სანიმუშო მაგისტრალად გადაქცეონ. (საკდესი).

ᲚᲔ. Ნ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 125-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ამა წლის სექტემბერში სრულდება დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წელი. საბჭოთა საზოგადოებრიობა ემზადება ფართოდ აღნიშნოს სიტყვის გენიალური ოსტატის იუბილე. 7 ივლისს კ. ა. ფედინის თავმჯდომარეობით გამართულ საიუბილეო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ღონისძიებანი, რომელნიც უნდა განხორციელდეს იუბილესთან დაკავშირებით.

მოხსენებები გააკეთეს საკავშირო ალკა ც. კ-ის, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, გამომცემლობათა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და ბევრ სხვა ქალაქში გაიმართება საზეიმო კრებები. კლუბებსა და კულტურის სასახლეებში მოეწყობა დიდი რუსი მწერლისადმი მიძღვნილი საღამოები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები მოიწვევენ სპეციალურ სესიებს.

ბიბლიოთეკებში მოეწყობა ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების გამოფენა, წაკითხულ იქნება საჯარო ლექციები, რომლებიც გაუშუქებენ მის გენიალურ ქმნილებათა როლს და მსოფლიო მნიშვნელობას.

საბჭოთა კავშირის გამომცემლობანი ამზადებენ ლ. ნ. ტოლსტოის წიგნების ახალ გამოცემათა გამოშვებას.

გაცხოველებით ემზადებიან ტოლსტოის იუბილესთვის თეატრები. მათს რეპერტუარშია ტოლსტოის პიესები და მისი რომანების მიხედვით შექმნილი დადგმები. (საკდესი).

Ვ. Ვ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ

მოსკოვში მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დაიწყო ლიტერატურული საღამოების დეკადა, მიძღვნილი ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი.

9 ივლისს პარკში მომსვლელებმა მოისმინეს პირველი ლექცია პოეტის შემოქმედების შესახებ. შემდეგ გაიმართა კონცერტი. კონცერტზე გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების მონაწილე წამკითხველნი, რომლებმაც გაიმარჯვეს ვ. ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებაზე კონკურსის მეორე ტურში.

დეკადის დროს პარკის მწვანე ლექტორიუმში გაიმართება ლექციები და კონცერტები თემებზე: „მაიაკოვსკი მშვიდობისათვის ბრძოლაში“, „მაიაკოვსკის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა“, „მაიაკოვსკი ახალგაზრდობას“ და სხვები.

კინოლექტორიუმში დაიწყო დოკუმენტალური კინოსურათის „ვლადიმერ მაიაკოვსკის“ ჩვენება. პარკის სამკითხველოში გაიხსნა გამოფენა ლიტერატურისა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

9 ივლისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ აქტივთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების განხილვისადმი. პლენუმის სხდომებს 2.000-მდე კაცი დაესწრო.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება და მომხსენებლის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნის ამხ. მიხაილოვის მიერ წაკითხული დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. პლენუმის მონაწილეები ერთსულოვანი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას — შთლიანად მოწონებულ იქნას, როგორც ერთადერთი სწორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროზე მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი ბერიას დანაშაულებრივი, ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის, რითაც გამოხატეს მოსკოვის მთელი პარტიული ორგანიზაციის ერთიანი ნება. პლენუმის მონაწილენი სრული ერთსულოვნებითა და მხურვალე მოწონებით, მქუხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოღალატეობა და სწორი ხელმძღვანელობა, დიდი მუშაობა გასწია პარტიისა და ხალხის დასაზღვევად კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა გარშემო, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად, მუშების, კოლმეურნეების, იზტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად. ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიამ უზრუნველყო მძლავრი აღმავლობა საბალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა მთავრობის მიერ მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ გამოიწვია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ზრდა და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მსოფლიო მოძრაობის სერიოზული აღმავლობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობაში ერთიანობის უზრუნველსაყოფად კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირეული ამოცანების წარმატებით გადაჭრის მიზნით.

პლენუმზე გამოსულნი გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობდნენ პარტიისა და საბჭოთა ხალხის საზიზღარი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას ვერაგულ მოქმედებაზე.

— ბერიას — ამ ბურჟუაზიული გადაგვარებულის საზიზღარი საქმიანობა იწვევს მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის აღშფოთებასა და გულისწყრომას, — თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქალაქ მოსკოვის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. გულიაევმა. — დიდი კმაყოფილებით ვეგებებით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის დროზე მიღებულ გადამწყვეტ ღონისძიებებს.

პარტიის ნარო-ფომინსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კოპენკინი თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების ღრმა აზრსა და უდიდეს მნიშვნელობას. ამხ. კოპენკინი აკრიტიკებს იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებს და ამბობს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ მუშაობაში.

— ჩვენი პარტია გვასწავლის, — ამბობს კომბინატ „ტროიოხგორნაია მანუფაქტურის“ დირექტორი ამხ. სევერიანოვა, — ყოველთვის და ყველაფერში ვიცავდეთ პრინციპულობას, პოლიტიკურ სიმახვილეს, მუდამ გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა და ვიყოთ ფხიზელნი. ბერიას საქმიდან პოლიტიკური გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ. ეს გარეწარი და გამცემი საზარელ დანაშაულობათა გზას დაადგა, ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის. ჩვენ უაღრესად მადლობელნი ვართ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც ამხილა და უვნებელყო ეს მოღალატე.

კოლმეურნეობა „ბორეცის“ თავმჯდომარემ ამხ. აფირკოვმა განაცხადა, რომ ვერავითარი მტერი ვერასოდეს ვერ შეძლებს ძირი გამოუთხაროს საკოლმეურნეო წყობილებას სსრ კავშირში. კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი კოლმეურნე გლეხობა მიესალმება მშრომელთა მტრის ბერიას წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს.

მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები — მოსკოვის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვასილევი და კომკავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ხალდეევი, გამოხატავენ რა პროფკავშირების მილიონობით წევრთა, კომკავშირელთა, ახალგაზრდობის აზრს, გულისწყრომით ლაპარაკობენ ბერიას საზიზღარ მტრულ მოქმედებაზე. ორატორები აცხადებენ, რომ ყველა მშრომელნი დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, რომ ისინი მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა ინტელიგენციის სახელით მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი — პლენუმის მონაწილენი აკადემიკოსი ტოპჩიევი, პროფესორი ვოვჩენკო, მწერალი სიმონოვი ლაპარაკობენ მეცნიერებისა და კულტურის წარმატებებზე ჩვენს ქვეყანაში, წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა მეცნიერები, კულტურის მუშაკები, თქვა აკადემიკოსმა ტოპჩიევმა, გმობენ ხალხის მტრის ბერიას დანაშაულებრივ ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას და პირობას აძლევენ პარტიასა და საბჭოთა ხალხს, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ტაშისცემებდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწოდებას — გამოიტანონ ბერიას საქმიდან პოლიტიკური გაკვეთილები და გააკეთონ საჭირო დასკვნები თავიანთი შემდგომი საქმიანობისათვის, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომუნისტები ააშკარავებდნენ და აკრიტიკებდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს სამეურნეო შენებლობისა და კომუნისტური აღზრდის დარგში.

პლენუმზე მოყვანილ იქნა კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა თავმინებებულია. პლენუმის მონაწილეებს შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების დარგში. მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში, როგორც აღნიშნული იყო პლენუმზე, არის სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიული ხელმძღვანელობის ბოლშევიკური პრინციპების დაცვის საქმეში, რომლებიც შემუშავებულია ლენინის მიერ. პარტიის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო კომიტეტი არღვევს პლენუმების მოწვევის ვადებს, რომლებიც დადგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპებს, არ უზრუნველყოფს ჯეროვანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას.

აღინიშნა დიდი ნაკლოვანებანი პარტიული პროპაგანდის დარგში. მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიულ პროპაგანდაში იყო გადახვევა ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაგებიდან. ნაცვლად იმისა, რომ სწორად განემარტა კომუნისტური პარტიის როლი, როგორც ხელმძღვანელი ძალისა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, პარტიული პროპაგანდა ხშირად იხრებოდა პიროვნების კულტისაკენ, რაც იწვევს პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ცენტრის როლის დამცირებას, პარტიული მასებისა და მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის შემცირებას. შემოქმედებითი მიდგომა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების დაუფლებისადმი მთელ რიგ შემთხვევებში იცვლება დოგმატიზმითა და მედავითნეობით. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრების იდეურ გამოწრთობას, მათს აღზრდას პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ზუსტად დაცვის სულისკვეთებით. აგრეთვე აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდას, მშრომელების აღზრდას პოლიტიკური სიფხიზლის, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულია სრული ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და იღებს მას განხორციელებისა და შესრულებისათვის. გადაწყვეტილებაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების მიერ იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი აქტივთან ერთად, — ნათქვამია გადაწყვეტილებაში, — პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იქნება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგული და საიმედო დასაყრდენი.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მისი ნაკადი ხელმძღვანელობით გაუძღვება ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებს იმისათვის საბრძოლველად, რომ განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა“.

ᲒᲝᲠᲚᲝᲕᲙᲐ—ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲒᲝᲠᲚᲝᲕᲙᲐ. (საკდესი). გზებისა და ტროტუარების გაყოლებით ჩამწკრივებული ალვისხეები და აკაციები გრილ ჩრდილსა ქმნიან. სიგრილე მოდის ბაღებიდან, რომლებიც გაშენებულია მეშახტეთა სახლების გარშემო. ახლა აქ მწიფდება გარგარი, ვაშლი, დამწიფდა ალუბალი...

მეშახტეთა გორლოვკა დიდი ქალაქი-ბაღია. ხეხილის ბაღები აქვს ქალაქის 14 ათას მცხოვრებს — ქვანახშირის შახტების, მანქანათმშენებელი, კოქსქიმიური ქარხნებისა და სხვა საწარმოთა მუშებს.

საყვარელ საქმეს — ბაღში მუშაობას ანდომებს თავისუფალ დროს წარჩინებული მეშახტე ნ. ვ. სატანინი. ქვანახშირის ძველ ოსტატს, რომელმაც შახტში ორმოცი წელიწადი და მეტი ხანი იმუშავა, წარმატებით მოჰყავს ვაშლი, მსხალი, ქლიავი და სხვა ხილი. უხვად ისხამს აგრეთვე მისი მეზობლის, შახტ „კომსომოლეცის“ უძველესი მაღაროელის ანდრია პავლესძე კარპეტჩენკოს ბაღი. მებაღეობას მისდევენ აგრეთვე შახტ „კოჩეგარკის“ სამთო ოსტატი, საპატიო მეშახტე გ. ი. ზაიცევი და შახტის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ი. ლოგვინენკო.

გორლოვკელი მიჩურინელი მებაღეები აშენებენ სამხრეთის სიმპოზიუმყვარულ კულტურებს. ტრესტ „გორლოვსკუგოლის“ მუშაკის გ. ნ. შაპოვალოვის ბაღში ხარობს ისეთი ჯიშის ვაზები, როგორიც არის „მუსკატი“, „იზაბელა“, „ლიდია“, „შასლა“. ახლა ამხ. შაპოვალოვი ლიმონისა და ფორთოხლის პირველ მოსავალს ელის.

ბაღები განუწყვეტლივ ფართოვდება მეშახტეთა ქალაქის გორლოვკის გარეუბნებში.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

აბრეშუმის მრეწველობა წლითიწლობით ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აფართოებს ასორტიმენტს. აბრეშუმის ქსოვილების წარმოების ომამდელი დონე უკვე შარსან გადაჭარბებულ იქნა 2,8-ჯერ.

საკავშირო დაქვემდებარების დიდმა საწარმოებმა — შჩერბაკოვის სახელობის და „კრასნაია როზას“ კომბინატებმა, მოსკოვის სვერდლოვის სახელობის გამომყვანმა ფაბრიკამ და სხვებმა მიმდინარე წლის დასაწყისიდან გეგმის გადაჭარბებით დაამზადეს ასეული ათასობით მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილები. გაიზარდა იმ პროდუქციის გამოშვება, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა — კრეპ-სატინის, ფაი-კრეპის, კრეპ-პარიზიენის, კრეპების „მოსკოვურის“, „ოქტომბრისა“. დანერგილია 150 ახალი მოხატულობა.

წლის მეორე ნახევარში სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს აბრეშუმის მთავარი სამმართველოს საწარმოები გაადიდებენ ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის სხვადასხვა ხარისხის ქსოვილების გამოშვებას. დაიწყება ახალი სახის ქსოვილების გამოშვება: საკაბე ზოლიანი ხავერდისა, ნატურალური აბრეშუმის სპერანგე ტილოებისა და სხვ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოლოტოვის ოლქის გრემიაჩინსკში დამთავრდა მეშახტეთა კულტურის სასახლის მშენებლობა. მისი საერთო ფართობი 2.600 კვადრატულ მეტრს უდრის. ბევრი ოთახი ეთმობა სამეცადინოდ სასულე ორკესტრს, დრამატულ, მოღერალთა გუნდს, სიმღერიან და სხვა თვითმოქმედ კოლექტივებს, კრცელი სათავსები აქვს დათმობილი ბიბლიოთეკასა და სამკითხველოს. მოწყობილია სასპორტო დარბაზი.

ამ უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში ეს მეშახტეთათვის აგებული მერვე კულტურის სასლეა. საუცხოო შენობა მიიღეს მაღაროელებმა სტალინოს ოლქის ქალაქ ჩისტიაკოვოში, სამი სასახლე აგებულია ჩელიაბინსკის ოლქში, ერთი — როსტოვის ოლქის ქალაქ შახტში. პუშკინის სახელობის კულტურის ახალი სასახლის პარკში (ქალაქი ემანყელინსკი) მოწყობილია საზაფხულო თეატრი.

წლის დამლევისათვის მეშახტეთა კულტურის სასახლეების რაოდენობა 60-ს მიაღწევს. გარდა ამისა, წელს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის რაიონებში გაიხსნება 79 ახალი კლუბი. (საკდესი).

ᲑᲔᲭᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიენიჭოს საპატიო წოდება „გმირი დედა“ და გადაეცეს „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ანკვაბს** პიკა კოსტას ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ხოფი.
2. **ახვლედიანს** დუშა ჯიღუს ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.
3. **ბატაშვილს** თამარ მოშეს ასულს — დიასახლისს, ქალაქი ახალციხე.
4. **გაბისონიას** ალექსანდრა გრიგოლის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ზუგდიდი.
5. **გალოიანს** ზარენიკ მამიკონის ასულს — შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოგდანოვკის რაიონი.
6. **გოდერძიშვილს** სალომე პავლეს ასულს — მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყაზბეგის რაიონი.
7. **ჟღენტს** ლიუდა დარისპანის ასულს — კოლმეურნეს, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ბუქსეთი.
8. **ზაკარაიას** ალექსანდრა აქვსენტის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ზუგდიდი.
9. **მაკიევას** ტასო როსების ასულს — ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბორჯომის რაიონი.
10. **მაჭარაშვილს** ქრისტინე დიმიტრის ასულს — მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, საჩხერის რაიონი.
11. **ტორო

გოეთეს ლექსები ქართულად

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„საბჭოთა მწერალმა“ ქართულ ენაზე გამოსცა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლექსები. წიგნში მოთავსებულია გოეთეს მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლირიკული ნაწარმოებნი. ლექსების თარგმანი ეკუთვნის პოეტ ხარიტონ ვარდოშვილს.

გოეთე უდიდესი მწერალი და მოაზროვნეა. იგი მართებულად ითვლება გერმანული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებლად. მას მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო და არასოდეს არ იეშურებდა გერმანელი ხალხის საჭიროებებსა და ინტერესებს. იგი გულისტკივილით განიცდიდა გერმანიის დაქსაქსულ ყოფას, გერმანელ მშრომელთა ცუდ მდგომარეობას. თავისი სამშობლოს აყვავების ერთ-ერთ საშუალებას გოეთე გერმანიის გაერთიანებაში ხედავდა. სწორედ ამიტომ გოეთე ოცნებობდა მთლიან გერმანიაზე. ეს უდიდესი პატრიოტიზმი, მაღალი იდეალები, კეთილშობილური გრძნობები და მეამბოხე სულისკვეთება ჩააქსოვა გოეთემ თავის ნაწარმოებებში, კერძოდ, ლირიკაში.

გოეთე ლექსებს ქმნიდა თავისი ცხოვრების რეალურ მოვლენებზე. ლირიკულ ნაწარმოებთა თემად გოეთემ პიროდულ განცდებთან ერთად სოციალური მოვლენები აქცია.

ხარიტონ ვარდოშვილს დიდი მუშაობა გაუწევია, რომ ქართულ ენაზე სათანადოდ აეყოლერებინა გოეთეს, ამ დიდი გერმანელი მოაზროვნის პოეტური ნაწარმოებები. ლექსების უმეტესობის თარგმანი ტექსტუალურად ახლოს დგას ორიგინალთან.

გოეთეს ენისათვის დამახასიათებელი იდიომები გადმოცემულია შესაფერისი ქართული ადექვატებით. თარგმანში იგრძნობა ორიგინალის განწყობილება და რიტმი. დაცულია გოეთეს ლექსების სტილისტიკა და გააზრება. მთარგმნელს ენა დარბაისლურია და სახოვანი. დაუხვეწავი გამოთქმები თითქმის არ გვხვდება.

თარგმანში ბევრია მაღალმხატვრულად შესრულებული ლექსები, მაგალითად: „მიძღვნა“, „პრომეთე“, „ქრისტელ“, „თულეს მეფე“, „მეთევზე“, „მინონ“ („იცი ქვეყანა“), „განძის მაძიებელი“, „ტყის მეფე“ და სხვ.

ხ. ვარდოშვილს გოეთეს ლექსების თარგმნისას ორიგინალთან ერთად მომარჯვებული ჰქონია რუსული თარგმანებიც, ალბათ, იმიტომ, რომ გაეთვალისწინებინა წინამორბედთა მთარგმნელობითი გამოცდილება. ეს მეტად კარგია. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ მთარგმნელი გოეთეს „მომღერალის“ გადმოქართულებისას სცილდება გოეთეს ლექსების დედანს და მისდევს ამ ლექსების ტიუტჩევისებურ რუსულ თარგმანს. ეს უკანასკნელი კი თავისუფალი თარგმანის ხასიათს ატარებს და დაზღვეული არ არის ცალკეული აზრობრივი შეცდომებისაგან. „სამაისო სიმღერის“ და „მინდვრის ვარდის“ თარგმანში ხ. ვარდოშვილს არ უცდია შემოფარგლულიყო ორიგინალის ტექსტით. აქ მას ერთგვარი თავისუფლება გამოუჩენია, გოეთეს ლექსი „ფრედერიკე ბრიონისადმი“ ქართულად რატომღაც წარმოდგენილია უსათაუროდ (გვ. 16); წიგნში გაპარულია რამდენიმე ორთოგრაფიული შეცდომა. მაგალითად, უნდა იყოს ვეროერისადმი და არა „ვერტერისადმი“ (გვ. 232); ლაბირინთში და არა „ლაბირინტში“ (გვ. 81); ბელინდესადმი და არა „ბელინდასადმი“ (გვ. 63); „ანაკრეონის“ (გვ. 112) ნაცვლად უნდა იყოს ანაკრეონტი.

წიგნს დართული აქვს გ. ნადირაძის მიერ შედგენილი წინასიტყვაობა და შენიშვნები. წინასიტყვაობაში გოეთეს ცხოვრებისა და შემოქმედების ფონზე განხილულია გოეთეს ლირიკისათვის დამახასიათებელი თვისებები. აქვე მკითხველი ნახავს ცნობებს გოეთეს სხვა ნაწარმოებებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ შეფასებას აძლევდნენ მარქსიზმის კლასიკოსები გოეთეს შემოქმედებას.

გოეთეს ლექსების ახალი გამოცემით „საბჭოთა მწერალმა“ ქართველ მკითხველს საშუალება მისცა მშობლიურ ენაზე გაეცნონ გოეთეს ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

შ. რევიშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმი „მწვანე კონცხი“ აჭარის ერთ-ერთი უდიდესი, კეთილმოწყობილი სანატორიუმია. აქ მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ისვენებს 160-მდე კაცი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიან. სურათზე: დამსვენებელთა ჯგუფი საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

შეხვედრა მაყურებელთან

ბიათურა. („კომუნისტის“ კორ.). ორ კვირას მიმდინარეობდა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები მარგანეცის ქალაქში. თეატრის კოლექტივმა წარმოდგენილი გამართა როგორც ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ისე მაღაროელთა კლუბებში. ნაჩვენები იქნა თეატრის საუკეთესო დადგმები. გასტროლების დასასრულს მოეწყო თეატრის კოლექტივის შეხვედრა მაყურებლებთან.

ბათუმის დრამატული თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ მ. ლეჟავამ.

თეატრის კოლექტივს მიესალმნენ და თავიანთი შთაბეჭდილებანი გამოთქვეს ექიმმა ქ. კიკნაძემ, მასწავლებელმა მ. გოქსაძემ, კომკავშირის ქალაქკომის მეორე მდივანმა ც. კაპანაძემ, მოსწავლეებმა — ზ. ახალედიანმა და ნ. შეყლაშვილმა.

საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა, რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. კობალაძემ. მთ მადლობა გადაუხადეს ჭიათურელ მაყურებლებს გულთბილი შეხვედრისთვის.

თელავის მასწავლებლის სახლის ანსამბლის გასტროლები

თბილისის მ. გორკის სახელობის პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა თელავის მასწავლებლის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი. ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. პაპალაშვილი, შეასრულა ხალხური სიმღერები. განსაკუთრებით კარგი იყო „სიმღერა სამშობლოზე“, „ნუ გიყრის, ქალაო“ და სხვ.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მ. გორკის სახელობის კლუბის ქართული ცეკვის თვითმოქმედმა კოლექტივმა.

თელავის მასწავლებლის სახლის თვითმოქმედი ანსამბლი შემოქმედებით შეხვედრებსა და კონცერტებს მოაწყობს ბათუმში, სუხუმში, მარხაძეში, გაგრასა და ქუთაისში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების ცნობა

ბერლინი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საააგენტო იუწყება, გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყებამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

იმპერიალისტური პრესა, და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ბერლინის პრესა, სიცრუისა და ცილისწამების გავრცელების გზით რამდენიმე დღეა ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბერლინის დემოკრატიულ სექტორსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თითქოს მოსალოდნელია ახალი არეულობა. სისტემატური მტრული კამპანია მოწმობს, რომ უცხოელ და გერმანელ მონოპოლისტებს და მათ ხელშემწყობთ გერმანიაში განზრახული აქვთ კვლავ სცადონ წესრიგისა და მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევა. მაგრამ ისინი ამას ვეღარ შეძლებენ.

სამხედრო წესების კანონის დებულებათა თანდათანობით გაუქმება, 17 ივნისის ამბებთან დაკავშირებით დაპატიმრებულ პირთა უმეტესი ნაწილის განთავისუფლება და ბერლინში 1953 წლის 9 ივლისის 0.00 საათიდან ნორმალური მიმოსვლის განახლება მოწმობს, რომ მთელი ეს ზომები მოკლებულია ყოველ საფუძველს.

სინამდვილე და პროვოკაციული სიცრუე

ბერლინი, 10 ივლისი. (საკდესი). 17 ივნისის პროვოკაციული ავანტიურის ჩაშლის შემდეგ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის რეაქციული პრესა წელებზე ფიქს იდგამს და სხვადასხვა წამაქეზებელ, ცილისმწამებლურ ჭორებს თხზავს ბერლინის დემოკრატიულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დასავლეთ ბერლინის რეაქციული გაზეთები ყოველდღე გაიძახიან, რომ ბერლინის დემოკრატიულ სექტორში ვითომ „არეულობაა“ და მთელ რიგ საწარმოებში „მჯდომარე გაფიცვებიც“ კია. ასეთ საწარმოდ ისინი ასახელებენ, კერძოდ, ტრეპტოვის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროაპარატურის ქარხანას.

მოსყიდული მჯღაბნელები ცილსა სწამებენ ამ საწარმოს ეროსულოვან კოლექტივს. ამ ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა უკვე დიდი ხანია სამარცხვინო ბოძზე გაკრეს 17 ივნისის ფაშისტი პროვოკატორები და განაგრძობენ ბრძოლას სულ ახალი და ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად. საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის საწარმოო პროგრამა და წარმატებით ასრულებს მე-3 კვარტალის გეგმას.

ნორმალური, გეგმაზომიერი მუშაობაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა საწარმოში. რესპუბლიკის მშრომელები ნამდვილად უცხადებენ ურყევ ნდობას მუშათა კლასის პარტიას — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას და მთავრობას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მხარი დაუჭირონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია მშრომელების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და გერმანიის ერთიანობის რაც შეიძლება მალე მიღწევა. მთელ რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს მუშათა კოლექტივების კრებები, რომლებიც ცხადყოფენ მშრომელთა ურყევ მისწრაფებას — განახორციელონ მთავრობის გადაწყვეტილებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოწინავე მუშათა ფიქრი და გრძნობა გამოხატა მაგდებურგის ერნსტ ტელმანის სახელობის მანქანათშენებელი ქარხნის მეყალიბე შტადელმაიერმა, რომელმაც კრებაზე თავის ამხანაგებს განუცხადა: „ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს აგენტებთან და პროვოკატორებთან. ადამიანი ბეცი უნდა იყოს, რომ იმპერიალისტების ანკესს წამოეგოს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი ნდობისა და მხარდაჭერის გამოცხადების ნიშნით ჩაიარა ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატ „ოსტის“ მშრომელთა მიტინგმა, რომელზეც გამოვიდა მინისტრი ზელბმანი. მან ამხილა ომის გამჩაღებელთა დაქირავებული აგენტების მტრული გამოხდომა, რაც 17 ივნისს მოხდა ბერლინში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების შექმნის საქმეში.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პოლონელი მშრომელების დეპეშის გამოქვეყნებას, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს გერმანელი ხალხის ბრძოლას გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის. მიტინგის მონაწილეებმა საპასუხო წერილში პირობა მისცეს პოლონელ მეგობრებს, რომ „არასოდეს არ მისცემენ ნებას პროვოკატორებს მოსპონ მშვიდობიანი მშენებლობის მიღწევები“.

იზრდება იტალიის სოციალისტური პარტიის გავლენა

რომი, 9 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ავანტი“ იუწყება, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში ბევრი ახალი წევრი შედის. კარარის პროვინციაში პარტიაში შევიდა 95 ახალი წევრი, ვიტერბოს პროვინციაში — 54, ნეაპოლის პროვინციაში — 365 ახალი წევრი, რომელთა შორის არის ორგანიზაცია „კათოლიკური მოქმედების“ ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი.

ამ უკანასკნელ დღეებში პადუის პროვინციაში სოციალისტურ პარტიაში შევიდა 349 მოქალაქე. ამ პროვინციაში შექმნილია 10 ახალი სექცია. კატანძაროს პროვინციაში სოციალისტურ პარტიაში შევიდა 40 მშრომელი.

კომპოზიტორ პროკოფიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ურუგვაიში

მონტევიდეო, 9 ივლისი. (საკდესი). მონტევიდეოში ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის შენობაში 7 ივლისს გაიმართა საღამო, მიძღვნილი საბჭოთა კომპოზიტორის სერგი პროკოფიევის ხსოვნისადმი. საღამოს დაესწრნენ ურუგვაის მუსიკალური წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პროკოფიევის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ცნობილმა ურუგვაელმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ეკტორ ტოსარ ერეკარმა. შემდეგ შესრულებულ იქნა პროკოფიევის ნაწარმოებნი. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

რჩევა-დარიგება კომბაინერებს

როგორ მოვაწყოთ მუშაობა საათობრივი გრაფიკით

კომბაინის მუშაობა საათობრივი გრაფიკით სოფლად შრომის ნაყოფიერების, მანქანის წარმადობის გადიდების საფუძველია, თანამედროვე ნოვატორული სიტყვაა. მტს-ების მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო ამ მეთოდის პროგრესულობა.

მძლავრი ტექნიკის გამოყენებაში შრომის ორგანიზაციის ამ მეთოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იძლევა ასადები ნაკვეთისა და გრაფიკის სწორად შედგენის, აგრეგატის წინასწარ გულდასმით მომზადების, მისი მოძრაობის ზუსტი ორგანიზაციისა და მუშაობის დროს დადგენილი გრაფიკის შესაბამისად დავალებათა შესრულებაზე მუდმივი კონტროლის დაწესების საშუალებას. მოსალოდნელ ტექნიკურ შეფერხებათა დროულად თავიდან აცილებისათვის საჭიროა აგრეგატის მატერიალური და ორგანიზაციული მომზადება. მოსავლის აღების პერიოდში აგრეგატის შეუფერხებლად მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ღონისძიებაა მანქანების ტექნიკური მოვლის ყველა წესის მტკიცედ დაცვა. ნაკვეთი, რომელზეც მოსავალი კომბაინით იქნება აღებული, წინასწარ უნდა მომზადდეს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკვეთი მკის დაწყებამდე გაიწმინდოს ნარჩენებისაგან, დაიყოს საქცევებად ისე, რომ კუთხეები რიგრიგობით იცელებოდეს რკალისმაგვარად, თუ ფართობზე დიდი ქვები, ბუჩქები ან ძირკვებია, საჭიროა 4 მეტრის რადიუსით ნათესის შემოთიბვა და გამაფრთხილებელი ნიშნების დასობა. საათობრივ გრაფიკს ადგენს კომბაინერი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირთან და ალმრიცხველთან ერთად და ათანხმებს მემანდრეობის ბრიგადირთან.

გრაფიკში შეტანილ უნდა იქნას: ტრაქტორის და კომბაინის ტექნიკური მოვლის დრო, აგრეგატის მოდების განი, ტრაქტორის მოძრაობის სიჩქარე, საქცევის სიგანე და სიგრძე, საქცევის ირგვლივ აგრეგატის ერთი შემოვლისათვის საჭირო დრო და შესრულებული სამუშაოს რაოდენობა ჰექტარობით, მოსავლიანობა ცენტნერობით, მარცვლისა და ნამჯის რაოდენობა აღებული ჰექტარების მიხედვით. მაგალითად, ვთქვათ, აგრეგატის მოდების განი არის 4,8 მეტრი, ტრაქტორის სიჩქარე საათში 4,5 კილომეტრი. ამ შემთხვევაში ტექნიკურ მოვლას ვასრულებთ დილის 5 საათიდან 7 საათამდე, მუშაობას ვიწყებთ 7 საათზე, სამუშაოს ვამთავრებთ 20 საათსა და 50 წუთზე. მარცვლის მოსავალი, ვთქვათ, ერთ ჰექტარზე 16 ცენტნერია, ნამჯის მოსავალი კი—24 ცენტნერი, მთლიანი საქცევის ფართობია 45 ჰექტარი, საქცევის სიგრძე — 1.500 მეტრი და საქცევის სიგანე — 300 მეტრი. მაშინ ჩვენი დღიური დავალება დროის სხვადასხვა მონაკვეთში მიიღებს შემდეგ სახეს: პირველ ორ შემოვლას დავამთავრებთ 8 საათსა და 40 წუთზე და აღებული ფართობი გვექნება 3,4 ჰექტარი, ხოლო გალეწილი ხორბალი — 54 ცენტნერი, მეორე ორ შემოვლას დავამთავრებთ 10 საათსა და 10 წუთზე და აღებული ფართობი გვექნება 6,7 ჰექტარი, ხოლო გალეწილი ხორბალი — 107 ცენტნერი და ა. შ.

საბოლოო შემოვლა გვექნება მეთვრამეტე, რომელსაც დავამთავრებთ 20 საათსა და 50 წუთზე, აღებული ფართობი გვექნება 27 ჰექტარი, ხოლო გალეწილი ხორბალი — 432 ცენტნერი.

მოყვანილ მაგალითში აგრეგატის დღიური დავალება სრულ შესაძლებლობას გვაძლევს თანმიმდევრობით გავიგოთ შესრულებული სამუშაო როგორც ჰექტარობით, ისე ცენტნერობით.

საჭიროა საათობრივი გრაფიკით კომბაინის მუშაობისას მთელი დროის ზუსტად დადგენა, რის მიხედვითაც აგრეგატს ეძლევა დღიური დავალება.

როგორც მტს-ების გამოცდილებამ გვიჩვენა, კომბაინის ნაყოფიერი მუშაობისა და თვითკონტროლის დაწესებისათვის მიზანშეწონილია შესრულებული სამუშაოს რაოდენობა შევამოწმოთ ყოველი ორი შემოვლის შემდეგ. აგრეგატის საქცევის ირგვლივ პირველი შემოვლის სიგრძეს ვანგარიშობთ ასე: ვზომავთ საქცევის სიგრძეს, ვაორკეცებთ მას, ვუმატებთ გაორკეცებული საქცევის სიგანეს, ყოველი შემდგომი შემოვლის სიგრძეს ვამცირებთ კომბაინის ფაქტიური მოდების 8 გაზომ; მაგალითად, კომბაინი „სტალინეც-6“-ის ფაქტიური მოდების განი 4,8 მეტრია. თვითეული შემდგომი შემოვლის სიგრძე (საქცევის ირგვლივ ერთი შემოვლის მანძილი) შემცირდება — 4,8×8=38,4 მეტრით. კომბაინ „კომუნარისათვის“ ყოველი შემდგომი შემოვლის სიგრძე შემცირდება 36 მეტრით, ხოლო თვითმავალი კომბაინისათვის — 31 მეტრით.

საათობრივი გრაფიკით მომუშავე კომბაინერი შემოვლათა რაოდენობის მიხედვით ამოწმებს მუშაობის მიმდინარეობას. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში აღნიშნულია, რომ დღეში კომბაინმა პურის ყანას 18-ჯერ უნდა შემოუაროს. იმისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ ერთ შემოვლაზე აგრეგატის მიერ მოცემული ფართობი, საჭიროა კომბაინის მოდების ფაქტიური განი გავამრავლოთ კომბაინის მიერ გავლილ მანძილზე, მაგრამ რადგან კომბაინს მოსაბრუნებელ ადგილებში უქმი სვლები აქვს, აგრეთვე ზოგიერთი უქმი გაჩერებაც. ამის გამო ფაქტიური გამომუშავება შემცირდება 3-4 პროცენტით.

ყოველი ორი შემოვლისათვის საჭირო დროს ასე განვსაზღვრავთ: კომბაინის მიერ ნაკვეთის ირგვლივ ორი შემოვლით გავლილ მანძილს გავყოფთ აგრეგატის საშუალო სიჩქარეზე. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში პირველი შემოვლის სიგრძე 3.600 მეტრია, მეორისა — 3.562 მეტრი, სულ კი—7.162 მეტრი. აგრეგატის მოძრაობის სიჩქარე 4,5 კილომეტრია საათში, ანუ 4.500 მეტრი, აგრეგატის სიჩქარე წუთში იქნება 4.500 გაყოფილი 60-ზე, მაშინ მივიღებთ 75 მეტრს წუთში. ორ შემოვლაზე დაიხარჯება დრო: 7.162 გაყოფილი 75-ზე, ანუ 95 წუთი. ეს არის ის დრო, რაც დასჭირდება კომბაინს საქცევის ირგვლივ ორი შემოვლისათვის. კომბაინის მობრუნებაზე მოცდენისას ვიღებთ საშუალოდ 100 წუთს, ანუ 1 საათსა და 40 წუთს. აგრეგატი იწყებს მუშაობას დილის 7 საათზე და ორ შემოვლას ამთავრებს 8 საათსა და 40 წუთზე. ამ მაგალითის მიხედვით მანქანის მდგომარეობისა და სამუშაო პირობების გათვალისწინებით თვითეული კომბაინის აგრეგატისათვის უნდა შედგეს საათობრივი სამუშაო გრაფიკი.

ამ-მოწინავე მეთოდის გამოყენების მთავარი მიზანია სამუშაო დროის შემჭიდროება, დროის ყოველი მონაკვეთის აღრიცხვა და მისი მაქსიმალური გამოყენება, მომკის ხარისხის ამაღლება. ეს კი საშუალებას მოგვცემს შეუპოვრად ვიბრძოლოთ მანქანის მოცდენის ლიკვიდაციისათვის, მისი სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის, მათ შორის ისეთი მოცდენის წინააღმდეგ, რომლის აღკვეთა წინათ შეუძლებლად მიიჩნდათ. ასეთია კომბაინის ბუნკერიდან მარცვლის გადმოსაცლელად აგრეგატის გაჩერება, რაზედაც სამუშაო დროის თითქმის 20 პროცენტი იკარგებოდა. მოწინავე კომბაინერებმა მარცვლის გადმოცლა ბუნკერიდან გაუჩერებლივ მოაწყეს და თავიდან აიცილეს კომბაინის უქმი გაჩერება.

თუ წინათ მანქანის გაწყობისა და ცვლის გადაბარებისათვის საჭირო იყო ერთი საათი, ახლა ეს სამუშაო 15 წუთში სრულდება. ასევე თავიდან აცილებულია კომბაინის გაჩერება სადილობის დროს, მომუშავეთა ურთიერთშეცვლის საშუალებით.

საათობრივი გრაფიკით მუშაობის მთავარი და ძირითადი დადებითი მხარე ის არის, რომ კომბაინერი საქცევს ირგვლივ ყოველი ორი შემოვლის შემდეგ ამოწმებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, სწრაფად იგებს ჩამორჩენას მუშაობაში და დაუყოვნებლივ იღებს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მოსავლის აღების დაწყების წინ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ახმეტის მტს-ის ცნობილი კომბაინერის სოლომონ რამაზაშვილის წერილი. მან ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს მოსავალი აიღოს 650 ჰექტარზე და გამოვიდა მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად. ჩვენმა წარჩინებულმა მექანიზატორებმა მიხეილ ლაზარაშვილმა (ალაზნის მტს-ი), ი. ტიტვინიძემ (რუისის მტს-ი), ი. მელიქიშვილმა (შირაქის მტს-ი) და სხვებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ს. რამაზაშვილის წინადადებას.

მრავალი კომბაინერი წარმატებით შეუდგა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და დაწინაურდა. წარჩინებული კომბაინერები თავიანთ წარმატებებს აღწევენ უწინარეს ყოვლისა მუშაობაში საათობრივი გრაფიკით.

დავასახელებთ კომბაინერ მიხეილ ლაზარიაშვილს, რომელიც მკის დაწყების პირველი დღიდანვე უნარიანად იყენებს ამ მოწინავე, პროგრესულ მეთოდს. ამის შედეგად ამ სეზონში 14 სამუშაო დღეში მაღალხარისხოვნად მომკა 276 ჰექტარი და გალეწა 305 ტონა ხორბალი.

მ. ლაზარიაშვილი მუშაობს საათობრივი გრაფიკით. თავის გამოცდილებაზე მან შემდეგი გვიამბო:

„საათობრივი გრაფიკით მუშაობა არ შეიძლება მოეწყოს, თუ არ დავნერგეთ მანქანის გამოყენების ყველა წესი. ამ წესით მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ აღვკვეთოთ აგრეგატების უქმი გაჩერება და დროის სხვა დანაკარგების გამომწვევი მიზეზები. ვიცი რა კომბაინის ორი შემოვლით აღებული ფართობის ოდენობა, დახარჯული დრო და შემოვლათა რაოდენობა ერთ საათში, მე ყოველთვის შემიძლია გავიგო შესრულებული სამუშაო და ამის მიხედვით ვაწესრიგებ მუშაობას მთელ აგრეგატში. წელს მიზნად დავისახე ზუსტად გამეხორციელებინა საათობრივი გრაფიკით მუშაობის მეთოდი მოსავლის აღების დროს და, მართლაც, პრაქტიკამ დამანახვა, რომ შრომის ეს ახალი მეთოდი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შესრულებული სამუშაოს აღრიცხვისა მცირე დროის განმავლობაში. ამან ნაყოფიერი შედეგი მომცა მუშაობაში“.

საათობრივი გრაფიკით მუშაობის დროს, სხვა მონაცემების აღრიცხვასთან ერთად, აუცილებელია საქცევზე აგრეგატის შემოვლათა რაოდენობის დათვლა. ამ მიზნით ჯერ კიდევ გასულ წელს მ. ლაზარაშვილმა დაამზადა ხელსაწყო, რომელიც აღრიცხავს კომბაინის შემოვლათა რაოდენობას.

ეს აღმრიცხველი. წარმოადგენს ხის დაფას, ზომით 150×250×40 მილიმეტრს. მასზე ორ მწკრივად არის გაკეთებული ათ-ათი ნახვრეტი თვითეული 10-მილიმეტრიანი დიამეტრით. ზედა ნახვრეტები შეესაბამება ერთეულებს, ქვედა კი ათეულებს. ხისაგან დამზადებული სარჭი მოთავსებულია აგრეგატის შემოვლათა რაოდენობის შესაბამის ნახვრეტში. მოწინავე კომბაინერი გრაფიკის გამოყენებისას მთავარ ყურადღებას აქცევს ასაღები ნაკვეთების დაყოფას სწორკუთხედ საქცევებად. საქცევის გრძელი მხარე ხნულის მიმართულებით არის. საქცევის განი შეადგენს მისი სიგრძის მეხუთედს ან მეექვსედს. ასეთი ფორმის საქცევის შერჩევით მან საგრძნობლად შეამცირა კუთხეებზე აგრეგატის მობრუნებათა რაოდენობა და, მაშასადამე, უქმი სვლები. მ. ლაზარიაშვილის შესანიშნავი გამოცდილება მოსავლის აღებაში საათობრივი გრაფიკის სწორად გამოყენების შესახებ ფართოდ გავრცელების ღირსია.

მექანიზატორთა და სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოების მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველნაირად შეუწყონ ხელი საათობრივი გრაფიკის მეთოდით მუშაობის დანერგვას ყველა მტს-ში, ყველა კომბაინის აგრეგატსა და სატრაქტორო ბრიგადაში.

ბ. ჩაჩანიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს პროპაგანდის მთავარი სამმართველოს ინჟინერ-მექანიზატორი.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 9 ივლისი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა პაასიკივიმ დღეს დაამტკიცა ფინეთის ახალი მთავრობა, რომელიც ურხო კეკონენმა შეადგინა. მთავრობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი ურხო კეკონენი (აგრარული კავშირი); საგარეო საქმეთა მინისტრი — რალფ ტერნგრენი (შვედთა სახალხო პარტია); შინაგან საქმეთა მინისტრი—ვიენო სუკსელაინენი (აგრარული კავშირი); ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — ტეუვო აურა (უპარტიო); თავდაცვის მინისტრი — კაუნო კლეემოლა (აგრარული კავშირი); ფინანსთა პირველი მინისტრი — იუხო ნიეკანენი (აგრარული კავშირი); ფინანსთა მეორე მინისტრი — ნილს მეინანდერი (შვედთა სახალხო პარტია); იუსტიციის მინისტრი — სვენ ხეგსტრენი (შვედთა სახალხო პარტია); სოციალურ საქმეთა პირველი მინისტრი — ვაჭრობის დარგის მრჩეველი ლაური ხიეტანენი (უპარტიო); სოციალურ საქმეთა მეორე მინისტრი — ქნი ვიენო სიმონენი (აგრარული კავშირი); განათლების მინისტრი — იოჰანეს ვიროლაინენი (აგრარული კავშირი); გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა პირველი მინისტრი — სამთო დარგის მრჩეველი ეერო მიაკინენი (უპარტიო); გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მეორე მინისტრი — კუსტი ესკოლა (აგრარული კავშირი); მიწათმოქმედების მინისტრი — მარტი მიეტუნენი (აგრარული კავშირი).

ფრანგი ჟურნალისტის შთაბეჭდილება სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). მემარჯვენე გაზეთ „კომბატში“ გამოქვეყნებულია მარსელ ეიბელენის სტატია სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ, სადაც იგი მიიწვიეს საბჭოთა პროფკავშირებმა. ეიბელენი წერს, რომ მას საშუალება ჰქონდა თავისუფლად ემოგზაურა სსრ კავშირის ტერიტორიაზე და ესაუბრა საბჭოთა მოქალაქეებთან.

ეიბელენი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი. „მრავალ კითხვას შორის, რომლებსაც ყოველდღე გვაძლევდნენ, თითქმის ყოველთვის პირველი იყო კითხვა მშვიდობის შესახებ. ეს თქმის არა მარტო რეს ხელმძღვანელებზე, არამედ უბრალო ადამიანებზეც. საბჭოთა ხელმძღვანელების აზრით, მხოლოდ მშვიდობა უზრუნველყოფს ეკონომიური განვითარების განგრძობას“.

შემდეგ ეიბელენი წერს, რომ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მშენებლობის გაქანებამ სსრ კავშირში. „როცა ჩადიხარ იმ ქვეყნიდან, რომლის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია მოდუნება და სადაც აშკარად ისახება უმუშევრობის საფრთხე, სავსებით ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით ძლიერ განიცდი საბჭოთა ეკონომიურ აღმავლობას. სსრ კავშირი წარმოგიდგება როგორც უზარმაზარი მშენებლობა. რამდენი ქარხნისა და საწარმოს, ხიდისა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ვნახეთ! ამტრაქციული ციფრები ცოცხალი სინამდვილის სახეს იღებენ“.

საფრანგეთის ფინანსური სიძნელენი

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). პრესის ცნობები მოწმობენ, რომ საფრანგეთის ხაზინის მდგომარეობა კვლავ უარესდება. ფრანს პრესის საagენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მარტო უკანასკნელი კვირის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ფულის რაოდენობა გადიდდა 93.607 მილიონი ფრანკით, მიაღწია რა 2.147.553 მილიონ ფრანკს. პარიზის დემოკრატიულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეროვნული კრების მიერ ხაზინისა და საფრანგეთის ბანკის ახალი შეთანხმების დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს 110 მილიარდი ფრანკის ავანსად მიცემას, თუმცა მთავრობას აქამდე არ დაუფარავს ორი წლინადელი ავანსი სულ 130 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, კიდევ უფრო გააძლიერებს ინფლაციას და შეარყევს საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობას.

აღნიშნავს რა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს საერთო თანხიდან — 3.800 მილიარდი ფრანკიდან სახსრების ნახევარზე მეტი ხმარდება სამხედრო საჭიროებას და რომ მიმდინარე საფინანსო წელს შეიქმნა ბიუჯეტის დეფიციტი 800 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, სახელმწიფო მოსამსახურეთა ფედერაციის საყოველთაო კავშირის (შედის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში) საინფორმაციო ბიულეტენი წერს: „ამრიგად, ფინანსური კრიზისი მწვავდება ინფლაციის გაძლიერებასთან, ვალუტის გაუფასურებასა და ფასების ზრდასთან ერთად, რაც წარმოშობს სიღატაკეს. ვერავითარი ხელოვნური ღონისძიება, ვერავითარი იმპროვიზებული გადწყვეტილება ვერ დაფარავს ჩვენი ფინანსების ტრაგიკულ მდგომარეობას“.

ბენილუქსის ქვეყნების თათბირის გამო

ბრიუსელი, 9 ივლისი. (საკდესი). ბელგას საagენტომ გადმოსცა კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდა ბენილუქსის ქვეყნების (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) მინისტრთა თათბირის დამთავრების შემდეგ. თათბირი გაიმართა 8 ივლისს ლუქსემბურგში. „ბენილუქსის ქვეყნების პრემიერ-მინისტრები და საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრები, — ნათქვამია კომუნიკეში, — შეიკრიბნენ 8 ივლისს ლუქსემბურგში. ისინი შეთანხმდნენ ზოგიერთ პრინციპულ საკითხში. ეს შეთანხმება დადასტურდება თათბირზე, რომელიც გაიმართება 24 ივლისს“.

გაზეთი „დრაპო რუეი“, კომენტარს უკეთებს რა ამ თათბირს, წერს: „ამ თათბირის დღის წესრიგში იყო საკითხი: „იმ პოლიტიკურ სიძნელეთა შესწავლა, რომლებსაც ბენილუქსის ქვეყნები განიცდიდნენ“. ოფიციალური წყაროებიდან, განაგრძობს გაზეთი, ცნობილია, რომ „ეს სიძნელენი მნიშვნელოვანია და რომ იმ ვარაუდის წინააღმდეგ, რომელიც გაკეთდა საიდუმლო თათბირებზე ჰააგასა და ბრიუსელში, ზოგიერთ სექტორში, ეს სიძნელენი გამწვავდნენ“.

ღიბანის პარლამენტის მომავალი არჩევნების გამო

ბეირუთი, 10 ივლისი. (საკდესი). 12 ივლისს იწყება ლიბანის პარლამენტის არჩევნები. წინანდელი პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობას შეადგენდნენ ლიბანის ყოფილი პრეზიდენტის ბეშარ ელ-ჰურის მომხრეები, ა. წ. 30 მაისს ლიბანის ახალმა პრეზიდენტმა ქამილ შამუნმა ვადამდე დაითხოვა.

არჩევნები მოხდება 1952 წლის 4 ნოემბრის ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომლის თანახმად დეპუტატთა რიცხვი 77-დან მცირდება 44-მდე, საგარანტიო თანხა დეპუტატობის კანდიდატებისათვის წესდება 3.000 ლიბანური გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, ქენჯისყარაში მონაწილეობა სავალდებულოა, ამასთან ის პირები, რომლებიც თავს აარიდებენ არჩევნებში მონაწილეობას, დაჯარიმდებიან 50-დან 100-მდე ლიბანური გირვანქა სტერლინგით. არჩევნები მოეწყობა სამ ვადად: 12, 19 და 26 ივლისს.

გაზეთი „ას-სარხა“ მკაცრად აკრიტიკებს ახალ საარჩევნო კანონს. „კანონი, — წერს გაზეთი, — ითვალისწინებს კანდიდატების მიერ 3.000 ლიბანური გირვანქა სტერლინგი საგარანტიო თანხის შეტანას. ამ ღონისძიების მიზანია მუშების, გლეხებისა და მშრომელი ხალხის სხვადასხვა ფენის კანდიდატებს მოუსპოს შესაძლებლობა წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა“.

გაზეთი წერს, რომ არჩევნების მოწყობა სამ ვადად ლიბანის ხელისუფლებს საშუალებას აძლევს გავლენა მოახდინონ არჩევნების საერთო მსვლელობაზე. ზოგიერთ რაიონში არჩევნების შედეგები გამოიყენონ სხვა რაიონების ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოსახდენად.

გაფიცულ ავსტრალიელ მაღაროელთა გამარჯვება

სიდნეი, 9 ივლისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ „ჯონ დარლინგის“ შახტში დამთავრდა გაფიცვა, რომელმაც რამდენიმე თვეს გასტანა. კონფლიქტი მუშებსა და მეწარმეებს შორის, რომელიც წარმოიშვა პროფკავშირული მოღვაწის სტირსის დათხოვნის შედეგად, მოგვარებულ იქნა მაღაროელთა პროფკავშირების ფედერაციის წარმომადგენლებსა და შახტის მფლობელს — კომპანია „ბროკენ ჰილ პროპრაიეტერი კომპანის“ შორის მოლაპარაკების გზით. გაფიცულებმა მიაღწიეს დათხოვნილი მუშის სამუშაოზე აღდგენას.



ივნისში შესრულდა 11 წელი ლიდიცეს ტრაგედიის დღიდან: 1942 წელს ჰიტლერელებმა პირისაგან მიწისა აღგავეს ჩეხოსლოვაკიის სოფელი ლიდიცე, ყველა მამაკაცი დახვრიტეს, ქალები კი საკონცენტრაციო ბანაკებში გარეკეს.

ომის შემდეგ დაიწყო მოსპობილი სოფლის აღდგენა. ახლა ლიდიცეს მცხოვრებნი ახალ კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ. ახლო მომავალში კიდევ აშენდება 146 საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ახალი შენობები. ახალი სოფლის მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებულია 300 მილიონი კრონი.

სურათზე: ჩეხოსლოვაკია-ხაბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სოფელ ლიდიცეს განყოფილების თავმჯდომარე მარია იაროშოვა და მისი შვილები — 6 წლის მარუშკა და 4 წლის იოზეფი.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს ფოტო.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო ჯარების ნაწილები ეწეოდნენ უმნიშვნელო ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ კორანფიხორის რაიონში და კახორის სამხრეთ-დასავლეთით.

8 ივლისს დამით ამერიკის ავიაცია თავს დაესხა სამხრეთ ხამგენის პროვინციის ქალაქ ხინამის რაიონებს და გაფთრებით დაბომბა ისინი. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში. დანგრეულია ბევრი სახლი და მიწური.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებისათვის

პეკინი, 9 ივლისი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოსცა ტექსტი კომუნიკესი, რომელიც კორეა-ჩინეთის დელეგაციამ 9 ივლისს გამოაქვეყნა.

7 ივლისს კორეის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდალმა მარშალმა კიმ ირ სენმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალმა გენერალმა პინ დე-ხუეიმ გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ მარკ უ. კლარკს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ ორივე მხარის დელეგაციები ერთმანეთს შეხვდნენ გარკვეულ დროს, რათა განიხილონ დაზავების შესახებ შეთანხმების განხორციელების საკითხი, აგრეთვე შეთანხმების ხელმოწერის წინა სხვადასხვა მოსამზადებელი ღონისძიებანი.

9 ივლისს ორივე მხარის მთავარი დელეგატები მეკავშირე ოფიცერთა მეშვეობით შეთანხმდნენ, რომ დელეგაციების სრული შემადგენლობის დახურული სხდომები განახლდება 10 ივლისს დღის 11 საათზე.

ინგლისელი რკინიგზელები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დაიდოს დროებითი ზავი კორეაში

ლონდონი, 9 ივლისი. (საკდესი). რეიტერის საagენტოს ცნობით, რკინიგზელთა ეროვნული პროფკავშირის ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს რაც შეიძლება მალე დადოს დროებითი ზავი კორეაში, მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს კონფერენცია საერთაშორისო პრობლემების განხილვისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესმა და ლეიბორისტულმა პოზიციამ პარლამენტში მოსთხოვონ მთავრობას გადადგას ნაბიჯები დიდ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის, აგრეთვე ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

დელეგატმა მაკნოტენმა, რომელმაც შეიტანა ეს რეზოლუცია, განაცხადა, რომ ლი სინ მანის მოქმედება სერიოზული საფრთხეა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებისათვის.

ამერიკელი რადიომიმომხილველის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). გაზეთმა „კეპიტალ ტაიმსმა“, რომელიც ქალაქ მედისონში (ვისკონსინის შტატი) გამოდის, გამოაქვეყნა რადიომიმომხილველ ივჯუს სიტყვა. შეეხო რა რეაქციის გაძლიერებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ივჯუმ განაცხადა:

„ახლა პოლიტიკანები ვაშინგტონში კომუნიზმის წითელ წამოსასხამს უფრიალებენ წინ ამერიკელებს და უცხადებენ, კომუნისტები ჩვენს ეროვნულ უშიშროებას ძირის გამოთხრას უპირებენო, მაშინ როცა ამ წითელი წამოსასხამის საფარით იგივე პოლიტიკანები ძირს უთხრიან ჩვენს ეროვნულ უშიშროებას და ნავთობის მაგნატებს უგდებენ ხელში ნავთობის საბადოებს, რომლებიც ხალხს ეკუთვნის.

ეს ადამიანთა იგივე ჯგუფია, რომელიც წარსულ კამპანიაში ცრემლს ღვრიდა ჩვენს ახალგაზრდობაზე კორეაში, ახლა კი ხელს უწყობს იმას, რომ ჩაიშალოს კორეაში დაზავება, რომელიც თავიდან აგვაცილებს შემდგომ სისხლისღვრას“.

მილიტარისტული ორგანიზაციების შექმნა იაპონიაში

პეკინი, 10 ივლისი. (საკდესი) სინხუას საagენტო გადმოგვცემს:

როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის ძველი სამხედრო პოლიციის ყოფილ თანამშრომლებს განზრახული აქვთ შექმნან სრულიად იაპონიის ორგანიზაცია „სამხედრო პოლიციის მეგობრები“. ორგანიზაცია მიზნად ისახავს აღადგინოს მილიტარისტული გრძნობები და დახმარება გაუწიოს იოსიდას სახელმწიფო პოლიციას იაპონიის დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მის მოქმედებაში.

მზადება ამ ორგანიზაციის შესაქმნელად შარშან დაიწყო. 1952 წლის ზაფხულში სამხედრო პოლიციის ყოფილმა მოსამსახურეებმა ამ ორგანიზაციის განყოფილება შექმნეს ასახიგავაში, კუშამოტოში, ფუძეში, საპოროში, იამანასა და ვაკაიამაში. ამ ორგანიზაციის ახალი განყოფილებები შეიქმნება ნაგანოში, ტოკოში, უცუნომიასა და სიმანში..

ინგლისელ ნავსადგურის მუშათა დასაქმების შემცირება

ლონდონი, 10 ივლისი. (საკდესი). ნავსადგურის მუშათა დაქირავების ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა მოხსენება 1952 წლის შესახებ, სადაც მოყვანილია ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობისადმი დისკრიმინაციულ პოლიტიკას ის მოჰყვა, რომ ნავსადგურის მუშათა დასაქმება მკვეთრად შემცირდა.

როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, 1952 წელს 3.700-მდე მუშა ნებაყოფლობით წავიდა დოკებიდან. ესენი არიან ყველაზე ახალგაზრდა და ღონიერი მუშები, რომელიც უფრო მაღალი ხელფასის საძებნელად წავიდნენ მას შემდეგ, რაც დატვირთვა-განტვირთვის მოცულობის შემცირების შედეგად დოკერთა საშუალო ხელფასი შემცირდა.

თბილისში ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილენი

10 ივლისს თბილისში ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილენი — ჩილისა და კოლუმბიის დელეგაციის წევრები.

აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ა. მოსაშვილი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ელენტი და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის სახელით სტუმრებს მიესალმა ი. მოსაშვილი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩილის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ალფრედო დე ამესტამ.

თბილისში ყოფნის პირველ დღეს ჩილისა და კოლუმბიის დელეგაციის წევრები საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დაესწრნენ ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

9 ივლისი. კიევში გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდები. გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

10 ივლისი. ხარკოვისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა გაიმართა ხარკოვში. შეჯიბრება დამთავრდა ხარკოველთა გამარჯვებით 1:0. ამავე დღეს ვილნიუსს „სპარტაკმა“ ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“.

„ბ“ კლასი

დაიწყო „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობის მეორე წრე. უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „მეტალურგი“ (ოდესა) — „დინამო“ (მინსკი) 1:1, „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) — „ზენიტი“ (მოსკოვი) 2:0, „სპარტაკი“ (კალინინი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:4, „კალევი“ (ტალინი) — „ხიმიკი“ (მოსკოვი) 2:5, „კრასნაია ზვეზდა“ (პეტროზავოდსკი) — „ზნამია“ (ივანოვო) 0:4, ქ. მოლოტოვი — „ავანგარდი“ (სვერდლოვსკი) 2:3, „ავანგარდი“ (ჩელიაბინსკი) — „ტორპედო“ (გორკი) 1:5, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „მეტალურგი“ (დნეპროპეტროვსკი) 4:1; „შახტიორი“ (სტალინი) — „ტორპედო“ (სტალინგრადი) 2:1.

პირველ ქვეჯგუფში კვლავ შეყვანილია ტაშკენტის „სპარტაკი“, რომელიც უკანასკნელ სამ შეხვედრაში მოედანზე არ გამოცხადებულა. მეორე ქვეჯგუფში შეყვანილია ახალი გუნდი მოსკოვის „ხიმიკი“. ზოგიერთ გუნდს სახელწოდება შეეცვალა. დინამო როსტოვის „ტრაქტორს“ ახლა ეწოდება „ტორპედო“, ივანოვოს „კრასნოე ზნამიას“ — „ზნამია“, ქ. კალინინგრადის გუნდს — მოსკოვის „ზენიტი“, ჩელიაბინსკის „ძერჟინეცს“ — „ავანგარდი“.

დღეისათვის პირველ ქვეჯგუფში გათამაშების ლიდერია ერევნის „დინამო“, მეორე ქვეჯგუფში — მინსკის „დინამო“, მესამე ქვეჯგუფში — სტალინოს „შახტიორი“.

თბილისის „სპარტაკს“ გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი უკავია. იგი ლიდერს — ერევნის „დინამოს“ ერთი ქულით ჩამორჩება.

ქუთაისის თოჯინების თეატრი ხაშურში

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). ხაშურის რკინიგზის კულტურის სახლში ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ხაშურელ მაყურებლებს უჩვენა პრეობრაჟენსკის პიესა „გაზაფხულის ყვავილი“.

პიესა დადგეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ლორთქიფანიძემ და თეატრის დირექტორმა ლ. შენგელაიამ.

ნეკროლოგი

გ. გამყრელიძე — ინსტიტუტი

გარდაეცვალა ... ინსტიტუტის ... ... გამყრელიძე.

გ. გამყრელიძე დაიბადა 1902 წელს ქ. ქუთაისში. ჯერ კიდევ სტუდენტად ყოფნისას გ. გამყრელიძე დაეწაფა მეცნიერულ მუშაობას.

1930 წლიდან იგი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტატისტიკის კათედრის დოცენტად, ხოლო 1938 წლიდან ხელმძღვანელობდა სტატისტიკის კათედრას. დოცენტი გ. გამყრელიძე თვალსაჩინო მუშაკი იყო ეკონომიური მეცნიერების დარგში. სტატისტიკურ მეცნიერებას მან მიუძღვნა 26 მნიშვნელოვანი გამოკვლევა და სახელმძღვანელო. მათ შორის აღსანიშნავია მის მიერ პირველად ქართულ ენაზე გამოქვეყნებული თეორიული სტატისტიკის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის ორ ტომად. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია-გამოკვლევა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948 წ. წ.“.

გ. გამყრელიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების ქართულ ენაზე თარგმნაში.

გ. გამყრელიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რამდენიმე სტრიქონით

სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს სამეცნიერო-საკვლევ ვეტერინარულ ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაავადების „ხუთიოლის“ შესწავლის საკითხისადმი. კონფერენციამ მოისმინა ა. ჯაჯანიძის, ვ. ნანობაშვილის, ს. ბერულავას, ბ. ფარცვანიას, ხ. ჯანაშიას, თ. კანდელაკისა და სხვ. მოხსენებები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, აგრეთვე ვეტერინარმა ექიმებმა.

ახალი საავადმყოფო

26 კომისრის რაიონში თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი საავადმყოფო. საავადმყოფოს აქვს თერაპიული, ქირურგიული და გინეკოლოგიური განყოფილებები, ჰყავს დახელოვნებული ექიმთა პერსონალი.

ხუხუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულია ხუხუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ქ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. 9 და 10 ივლისს ანსამბლმა გამართა კონცერტები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში და პლეხანოვის სახელობის კლუბში. დღეს ხუხუმის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გამოდის ოფიცერთა საზაფხულო ბაღში.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ ვასილის-ძე დეგტიარი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავღანეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ფ. ფედოროვი გაათავისუფლა ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვ. გ. დეკანოზოვი მოხსნილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

რუსთაველის სახელობის გათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1953-1954 სასწავლო წელს მიღების წესები

მიღება იქნება შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ფიზიკა-მათემატიკის, სპეციალობანი: ა) მათემატიკის — ქართული განყოფილება, ბ) ფიზიკის — ქართული განყოფილება, 2. ბუნებისმეტყველების, 3. გეოგრაფიის, 4. ისტორიის, 5. ენისა და ლიტერატურის, სპეციალობანი: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის — ქართული განყოფილება, ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის — რუსული განყოფილება, 6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის.

სწავლის ვადა ყველა ფაკულტეტზე 4 წელია.

უგამოცდოდ მიიღებიან: 1. ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, 2. პედსასწავლებელ დამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5%-ში.

ყველა დანარჩენი საშუალო და სპეციალური სკოლის კურსდამთავრებული, აგრეთვე სამწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები აბარებენ მისაღებ გამოცდებს: 1. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში. 2. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში. 3. გეოგრაფიის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), გეოგრაფიაში და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში. 4. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში. გეოგრაფიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში. 5. ისტორიის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და გეოგრაფიაში. 6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიასა და ფიზიკურ აღზრდაში.

შენიშვნა: ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმები ან მათთან გათანაბრებული სპეციალური სასწავლებლები, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ გავლილი აქვთ 3-წლიანი საწარმოო სტაჟი სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ხსენებული სტაჟი არ მოითხოვებათ იმ პირებს, რომლებიც ტექნიკუმების (საშუალო სპეციალურ სასწავლებლის) დამთავრების შემდეგ სამი და მეტი წლის განმავლობაში იმყოფებიან სამხედრო სამსახურში.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

შემომსვლელმა უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე განცხადება (ფაკულტეტის, სპეციალობის და განყოფილების მითითებით) და შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია (ვრცელი), 3. შემოწმებული სამი ფოტოსურათი (3×4 სმ) გადაღებული უქუდოდ, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ (ვინც სამხედრო ვალდებულია), 5. პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად განმცხადებლის მიერ).

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, გათუმი, ნინოშვილის ქ. № 35, ტელეფონი 59.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

11 ივლისს	შ. გუნო — **ფაუსტი** და **ვალპურგის ღამე** ი. პეტროვის მონაწილეობით
12 ივლისს	დღის 12 საათზე რ. გლიერი — **წითელი ყაყაჩო** საღამოს ვ. ივანოვსკის მონაწილეობით ბ. ჩაიკოვსკი—**პიკის ძალი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური კათედრების თანამშრომლები იუწყებიან **ილია თევდორეს-ძე ყიფშიძის** გარდაცვალებას.

შვილი დოდო კლდიაშვილი იუწყება **სიმონ დავითის-ძე კლდიაშვილის** გარდაცვალება. პანაშვიდი 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 2 ს. არსენას ქ. № 2.

რესპუბლიკანური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **თამარ ილარიონის ასულ ბაჩილავას** გარდაცვალებას.

ძმა არტემ, ძმისწულები გიორგი, ზარიამ, რძალი ლილი შვილები ზურაბ, თენგიზ მაისურაძეები იუწყებიან **ნესტორ კაციას-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 5 ს. მე-2 პარალელური ქ. № 6.

სიდედრი ნატა, სიმამრი იოსებ შვილებით ვერა, ვანო, მერი, კარლო, მაქსიმე მოისწრაფი-შვილები, სიძეები შ. ბეჟუაშვილი, ს. გიორგოლიანი ოჯახებით იუწყებიან **სიმონ დავითის-ძე კლდიაშვილის** გარდაცვალებას.

მეორე ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან **თამარ ილარიონის ასულ ბაჩილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VII, 9 ს. გამოსვენება 12-VII, 4 ს. ახალი ჩუღურეთის ქ. № 29.

საქმოსტანჯიშთესლის ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **ნადია ანდრიას ასულ ფირცხალავას** გარდაცვალებას.

დედა კატო, მეუღლე კოტე, შვილი ბუთხუზი, ბიცოლა მანია ჭითანავა შვილებით იუწყებიან **გულნარა კოწიას ასულ ჭითანავა-წულუკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII ქ. ფოთში. გამოსვენება პლეხანოვის ქ. № 29.

მეუღლე თამარ ვასილის ასული ნაცვლიშვილი იუწყება **მიხეილ თედორეს-ძე ახნაზაროვის** გარდაცვალებას.

ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე ალექსანდრეს ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII ფოთში, გამოსვენება ბინიდან ლენინის ქ. № 42.

მეუღლე დომნა, შვილები ნადია, ელენე, ალექსანდრა, მიხეილ, სიძე შ. მაღრაძე, რძალი ლ. მაჩაბელი, შვილიშვილები ელიზბარ, თამარ იუწყებიან **ლუარსაბ ელიზბარის-ძე ბალავაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-VII, 8 ს. გამოსვენება 14-VII, 6 ს. ბარ